



პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2014 წლის 23-24 ოქტომბერი)

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. წინამდებარე ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. 2013 წლის მარტში დაწესებულება დაიხურა და ერთი წლის განმავლობაში, ჩაუტარდა კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები: გარემონტდა საკნები, საკნების კარები აღჭურვა სპეციალური ორმაგი ელექტრონული საკეტით და ხმოვანი გამომახების სისტემით; საკნებში დამონტაჟდა გათბობის სისტემა და გამოიყო სივრცე საპირფარეშოებისთვის, სადაც შესაძლებელია შხაპის მიღებაც; 3 ოთახი დაეთმო სამედიცინო პუნქტს; გაიმართა სამრეცხაო შესაბამისი ტექნიკითა და საშრობი განყოფილებით; გარემონტდა და მოეწყო ამანათების მიმღები, სატელეფონო საუბრების, ხანმოკლე პაემნებისა და საგამომიებო ოთახები; განახლდა და ნაწილობრივ გადაიხურა სასეირნო ადგილები. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებამ ფუნქციონირება 2014 წლის მაისიდან განაახლა.

დაწესებულება გათვლილია 220 პატიმარზე; ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 180 პატიმარი, მათ შორის, 87 მსჯავრდებული და 93 ბრალდებული, აქედან 5 (4 ბრალდებული და 1 მსჯავრდებული) ქალი.

დაწესებულებაში არის 47 საკანი (განკუთვნილი 2, 4 და 6 პატიმრის განთავსებისთვის) და ერთი 8 საწოლიანი საკანი სამეურნეო ნაწილში დასაქმებული პატიმრებისთვის. დაწესებულებაში ასევე არის სათვალთვალო კამერით აღჭურვილი 4 სამარტოო საკანი და საკარანტინო განყოფილების 2 საკანი. ვიზიტის განხორციელების პერიოდში, დაწესებულებაში იმყოფებოდა 5 მოშიშშილე პატიმარი. არასრულწლოვანი პატიმრები დაწესებულებაში არ იმყოფებიან.

2. წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო შეტყობინება სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების საკარანტინო ნაწილში, ასევე სასჯელაღსრულებს N6 დაწესებულებაში ფიზიკური ძალადობის ფაქტის შესახებ. ჯგუფმა ასევე მიიღო ერთი შეტყობინება სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის თაობაზე¹.

¹ პატიმრებს ფიზიკური დაზიანების კვალი არ აღნიშნებოდათ. მათ არ ისურვეს აღნიშნული ფაქტების საგამომიებო ორგანოსათვის მიწოდება.

მონიტორინგის ჯგუფს პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. მონიტორინგის ჯგუფის მიერ არასათანადო მოპყრობად შეფასდა დაწესებულებაში არსებულ სამართლო საკნებში მოთავსებულ პატიმართა მდგომარეობა. შემოწმების დროს სამართლო საკნებში შეუძლებელი იყო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, იდგა აუტანელი სუნი, პატიმრებს არ ჰქონდათ ლეიბი და თეთრეული², უწყვედად ნარზე წოლა³, სიცივისაგან დასაცავად ერთ-ერთ პატიმარს ტანზე, ტანსაცმლის ქვეშ ტუალეტის ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული, ამასთან, სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრები სუფთა ჰაერზე არ გაჰყავდათ.⁴

არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას⁵, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.⁶ სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს პატიმრობაში მყოფი პირების ღირსებას. ამავდროულად მან უნდა უზრუნველყოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება იყოს უსაფრთხო როგორც პატიმრებისათვის, ასევე დაწესებულების თანამშრომლების, ვიზიტორებისა და ზოგადად საზოგადოებისათვის. სახელმწიფოს ეს ორი ვალდებულება ერთიმეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვინაიდან უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ წესრიგზე ორიენტირებულ და სამართლიანად მართულ სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს პატიმართა მიმართ ჰუმანურ მოპყრობას და სამართლიანობას.⁷

² სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრების ლეიბითა და თეთრეულით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დაწესებულების იურისტს, რომელმაც განმარტა, რომ სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრების ლეიბითა და თეთრეულით უზრუნველყოფა კანონმდებლობით მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული.

³ აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში გეგმიურ მონიტორინგს ატარებდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო, რომელსაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ჯგუფმა მიაწოდა ინფორმაცია სამართლო საკნებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობების შესახებ და მოსთხოვა დაუყოვნებლივი რეაგირება. მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულებაში ჯგუფის მიერ გამოვლენილი სხვა პრობლემების შესახებ.

⁴ პატიმრობის პირობები არ უნდა იყოს ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო. ადამიანის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი (*Valašinas v. Lithuania*, no. [44558/98](#), § 102, ECHR 2001-VIII).

⁵ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „კონვენციის მიზნებისათვის განსაზღვრება “წამება” ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივ, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობებიან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი წაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშვება მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათგან გამოწვეული.

⁶ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 3

⁷ Andrew Coyle, *A Human Rights Approach to Prison Management: Handbook for Prison Studies*, 2002, p. 58.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებაა დაცვითი პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პატიმრები იმყოფებიან სახელმწიფოს ექსკლუზიურ კონტროლ ქვეშ და აქედან გამომდინარე, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უჩნდებათ ვალდებულება პატიმრის ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და იმწუთიერი რისკების პრევენციის მიზნით მიიღონ ყველა გონივრული ზომა, თუ მათ იციან ან უნდა სცოდნოდათ ასეთი რისკის არსებობის შესახებ.⁹

პრევენციის ეროვნული მექანიზმის აზრით, სხვა რისკ ფაქტორებთან ერთად, არასათანადო მოპყრობას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

- ❖ დაუსჯელობის განცდა;
- ❖ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების არცოდნა;
- ❖ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უსაფრთხოების ცნების არასწორი გაგება, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების დროს ღონისძიების პროპორციულობის შეფასების სათანადო უნარის არქონა;
- ❖ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა ქმედებების მკაცრი კონტროლის არარსებობა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს, მაგალითად, სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გორივნი ვადით შენახვა-შემოწმებით, სასჯელაღსრულების სისტემის შიდა, ობიექტური მონიტორინგის განხორციელებით, ამ მონიტორინგის შედეგების ქვემდებარეობის შესაბამისად, პროკურატურისათვის, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის წარდგენით და ამ უკანასკნელთა მხრიდან დროული, სათანადო რეაგირებით;
- ❖ სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა სათანადო, სრულყოფილი დოკუმენტირებისა და შეტყობინების პრაქტიკის არარსებობა;
- ❖ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის მექანიზმის არარსებობა;
- ❖ არაკეთილგანწყობილი ურთიერთობა პატიმრებსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის.

⁸ General Comment No 29, States of emergency (Article 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 August 2001, para.13a.

⁹ სხვა მრავალ საქმეს შორის *Pantea v. Romania* (პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ), no. [33343/96](#), § 190, ECHR 2003-VI და *Premininy v. Russia* (პრემინინი რუსეთის წინააღმდეგ), no. [44973/04](#), § 84, 10 February 2011.

განხორციელებული შემოწმების შედეგად მონიტორინგის ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა. ამ დასკვნას დამატებით ამყარებს დაზიანების აღრიცხვის ჟურნალში არსებული შეუსაბამო ჩანაწერები და სხვა ხარვეზები, ასევე ის ფაქტი, რომ ორ შემთხვევაში დაზიანების შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და ეს მაშინ, როცა დაზიანების ყველა სხვა შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინება გადაგზავნილი იყო. განხორციელებულმა შემოწმებამ ასევე აჩვენა, რომ სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ ექიმის მიერ დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინფორმირების შემდგომ, უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის მიერ პატიმრისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ახსნა-განმარტება, როგორც წესი, შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება.
2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევის დოკუმენტირების კუთხით.
3. შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.

3. უსაფრთხოება

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, კერძოდ, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო

გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ უმნიშველოვანესი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.¹⁰

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიოვიდეოსაშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სამწუხაროდ, პრევენციის ეროვნული მექანიზმი მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად შეისწავლოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების პრაქტიკა, ვინაიდან ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა, ხოლო ნებისმიერი ოპერატიული ინფორმაცია, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ გადაწყვეტილებას პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ხელმიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის მომეტებული პრაქტიკა და მეორე მხრივ, გადაწყვეტილების შაბლონური ხასიათი წარმოშობს ლეგიტიმურ ეჭვს აღნიშნული ზომის პროპორციულობასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში სათვალთვალო კამერები დამონტაჟებულია 16 საკანში.

¹⁰ United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.

პატიმრობის კოდექსი არეგულირებს უსაფრთხოების ღონისძიებებს. კერძოდ, პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური საშუალებები, სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება, დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა, სამართლო საკანში მოთავსება არაუმეტეს 24 საათით.¹¹ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა ე.წ. „ანტივანდალური საკანი“¹² (№229). საკანი ცარიელია, იატაკზე დევს მხოლოდ ლეიბი, რომელზეც უწევს პატიმარს დაძინება. საკანში მოთავსებული იყო ერთი პატიმარი, რომელიც პლასტმასის ბოთლიდან ლეიბზე და იატაკზე ასხამდა წყალს და შემდგომ იწვა სველ ლეიბზე. ამგვარად პატიმარი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას აპროტესტებდა. პატიმრის განცხადებით, იგი ამ საკანში მოათავსეს ერთი თვისა და თერთმეტი დღის წინ. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონიტორინგის ჯგუფს ვერ მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ აპირდებდნენ აღნიშნულ პატიმართან დაკავშირებული პრობლემის შემდგომ მოგვარებას, მათ მხოლოდ განაცხადეს, რომ პატიმარი მიეკუთვნებოდა ე.წ. „პრობლემური პატიმრების“ კატეგორიას და სწორედ ამიტომ იყო მოთავსებული ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“. დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით ფორმალურად მის მიმართ ხორციელდება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, რომლის მაქსიმალური ვადაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის, ხოლო ფაქტობრივად კი მის მიმართ დამატებით გამოყენებულია უსაფრთხოების ღონისძიება - სხვა პატიმრებისგან განცალკევება (უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა ¹³), რაზეც შესაბამისი გადაწყვეტილება არ არსებობს. უსაფრთხოების ღონისძიების სახით სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევაში სამართლო საკანში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, ხოლო უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში - 60 დღეს. ვინაიდან პატიმრის მიმართ ფორმალურად არ არის უსაფრთხოების ღონისძიებები გამოყენებული, გაურკვეველია, რამდენი ხანი შეიძლება იყოს იგი მოთავსებული ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ე.წ. „ანტივანდალური საკანში“ (ასეთი ტიპის საკანს არც პატიმრობის კოდექსი და არც სხვა ნორმატიული აქტი არ იცნობს) მოთავსების საკითხი რეგულირებული არ არის არცერთი ნორმატიული აქტით და შესაბამისად, პატიმრის იქ მოთავსება უკანონოა.

¹¹ მოცემული რედაქცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

¹² ასე უწოდებენ N3 დაწესებულების თანამშრომლები N229 საკანს.

¹³ პატიმრობის დაწესებულების დებულების 59-ე მუხლი - ბრალდებულის გადაყვანა უსაფრთხო ადგილზე.

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, პატიმრობის კოდექსის 571-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცი, სასამსახურო ძაღლი.¹⁴

მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში სპეციალური საშუალებებიდან გამოიყენება ხელბორკილი. მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება რუტინულ პრაქტიკად არ იქცეს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება.
2. შეისწავლოს ე.წ. „ანტივანდალურ საკანში“ პატიმართა მოთავსების საკითხი და მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამ საკანში პატიმართა უკანონო მოთავსების თავიდან ასაცილებლად.
3. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ხელბორკილის გამოყენება არ იქცეს რუტინულ პრაქტიკად.
4. მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში საკნები განკუთვნილია 2 (10 მ²), 4 (15 მ²) და 6 (19.5 მ²) პატიმრის განთავსებისთვის. მონიტორინგის ჯგუფის მიერ დათვალიერებული 4 და 6 საწოლიანი საკნები სრულად არ იყო შევსებული. ამგვარად, თითოეულ პატიმარზე მოდიოდა 4 კვადრატული მეტრი.

¹⁴ ეს რედაქცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

საკნებში ბუნებრივი განათება და ვენტილაცია არადამაკმაყოფილებელია, ხელოვნური განათება კარგია, ხოლო ხელოვნური სავენტილაციო სისტემა გამართულად არ მუშაობს, საკნებში ფანჯრების ქვეშ დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის 2-2 გრძივი მილი; საკნების ავეჯს შეადგენს ორ იარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები; საკნებში არის ცალკე გამოყოფილი, დაახლოებით 1.8 მ² ფართობის სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი, სადაც შხაპის მიღებაც შესაძლებელია; დაწესებულებაში არსებობს წყალმომარაგების პრობლემები, უმრავლეს საკნებში პატიმრებს აქვთ ტელევიზორი. ძირითად საცხოვრებელ საკნებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

1. საკნებიდან გატანილი იქნას ზედმეტი საწოლები.
2. მიიღოს ყველა საჭირო ზომა და უზრუნველყოს დაწესებულებაში სათანადო ხელოვნური ვენტილაცია.
3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად.

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 9 სასეირნო ეზო. კენტი ნუმერაციის მქონე თითოეული სასეირნო ეზოს ფართობი შეადგენს დაახლოებით 37 მ², ხოლო ლუწი ნუმერაციის ეზოების - დაახლოებით 26 მ². სასეირნო ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით არის ხელოვნური განათება, დგას ხის გრძელი სკამები და ურნები, დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის კამერები.

ქალი პატიმრების სუფთა ჰაერზე გაყვანა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა მამაკაცი პატიმარი ისარგებლებს სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით. ქალი პატიმრების გაყვანა სასეირნო ეზოში ხდება საღამოს საათებში და ისინი სუფთა ჰაერზე იმყოფებიან დაახლოებით ნახევარი საათი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. უზრუნველყოს დღის საათებში ქალ პატიმართა სუფთა ჰაერზე გაყვანა და სულ მცირე, ერთი საათის განმავლობაში ყოფნა.
2. მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა პატიმრის ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

დაწესებულებაში შეიქმნას სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობები.

დასვენების საშუალებები, მათ შორის სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა ხერხები, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და პატიმრებს შეძლებისდაგვარად მიეცეთ მათი ორგანიზების შესაძლებლობა.¹⁵ ამასთან, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.¹⁶ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, დასაქმება მოიაზრება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება.¹⁷ დასაქმების მნიშვნელობა ხაზგასმულია ევროპული ციხის წესებში.¹⁸ ვიზიტის განხორციელების დროისთვის სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სამეურნეო ნაწილში 13 მსჯავრდებული (დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა 7.2%) იყო დასაქმებული.

პატიმართა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სოციალური მუშაკის მიერ მიწოდებული სერვისების გარდა, დაწესებულებაში ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის მომსახურებაც.¹⁹ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მუშაობს სამი შტატით გათვალისწინებული სოციალური მუშაკი, ხოლო ერთი სოციალური მუშაკი მომაგრებულია სასჯელაღსრულების N15 დაწესებულებიდან. დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულია ერთი ფსიქოლოგი. სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგს, ექიმებს და ზოგადად ადმინისტრაციას უჭირს იმ პატიმრებთან კომუნიკაცია, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, რაც აფერხებს ამ პატიმრებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების პროცესს.

დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს საკმარისი რესურსი. მიუხედავად რესურსების სიმწირისა, დაწესებულების ფსიქოლოგი ცდილობს განახორციელოს გარკვეული აქტივობები. ფსიქოლოგის გასაუბრება პატიმართან ძირითადად მიმდინარეობს ერთ-ერთ საგამოძიებო ოთახში, სადაც არ არსებობს შესაბამისი თერაპიული გარემო. დაწესებულებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის ჩატარება.

¹⁵ ევროპული ციხის წესები, წესი 27.6

¹⁶ იქვე, წესი 28.1

¹⁷ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 66(1)

¹⁸ ევროპული ციხის წესები, წესი 26.1-26.17

¹⁹ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფსიქოლოგის მომსახურების საჭიროებას ხაზი გაუსვა საქართველოში 2010 წლის ვიზიტის შესახებ ანგარიშში, პარ. 97.

ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 06.12.2014]

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც აღრიცხულია 1694 წიგნი, მათ შორის 580 რუსულ ენაზე, 30 წიგნი თურქულ ენაზე და 30 წიგნი სპარსულ ენაზე. დაწესებულების გახსნიდან (2014 წლის მაისი) აღრიცხული იყო პატიმრების 485 მოთხოვნა ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის შესახებ.

მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამასთან, ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები.
2. მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სოციალურ განყოფილების საშტატო ნუსხას დაემატოს ფსიქოლოგის ერთი საშტატო ერთეული.
2. პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით.
3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო პერსონალის როლი

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება²⁰ და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და

²⁰ Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf> [last visit on 31.05.2014]

საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას, გენდერულ თანასწორობას.

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.²¹

5.1. კვება და სასმელი წყალი

საკვების ხარისხთან დაკავშირებით, პატიმრებს არ გამოუთქვავთ რაიმე სახის არსებითი პრეტენზიები, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი პატიმარის განცხადებით, საკვები ერთფეროვანია და მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შესაძლებლობა დამატებით შეიძინონ საკვები პროდუქტი. პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირით. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს მაღაზიაში არსებული პროდუქციის მრავალფეროვნება და აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება არ ხდებოდა. დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით მომარაგებას ახორციელებს კომპანია „ჯი ემ ემ“. ვიზიტის მიმდინარეობისას ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს წყალმომარაგების პრობლემა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

5.2. დაწესებულების სამედიცინო პერსონალი

დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დასაქმებულია მთავარი ექიმი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 3 მორიგე ექიმი, 4 მორიგე ექთან, 1 ფარმაცევტი, 1 სტომატოლოგი, 1 ექთან, 1

²¹ General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

რომელიც პასუხისმგებელია ტუბერკულოზის სკრინინგზე. დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება მთავარი ექიმი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი და 1 ექთანი.

5.3. სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში მიღებისას

მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც ესწრებოდა პატიმართა დაწესებულებაში მიღების პროცესს, გამოავლინა შემდეგი დარღვევები. ქალი პატიმრის გარეგნულ დათვალიერებას მორიგე ექიმი საერთოდ არ ესწრება და პირის ფიზიკურ დაზიანებების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონტროლიორისაგან, რომელიც ასევე აწარმოებს პატიმრის ჩხრეკას. მამაკაცი პატიმრის ფიზიკური დაზიანებების შემოწმება შემოიფარგლებოდა ზერელე ვიზუალური დათვალიერებით და ზოგადი ხასიათის შკითხვების დასმით, აღსანიშნავია, რომ ამ პროცესს ესწრებოდა კონტროლიორიც (დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი), რითაც სერიოზულად დარღვეული იყო საუბრის კონფიდენციალურობა. მონიტორინგის ჯგუფს გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ დაწესებულებაში პატიმართა მიღება სწორედ აღწერილი პრაქტიკით ხდება, რაც დაუშვებელია და დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

სასჯელალსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

სასჯელალსრულების N3 დაწესებულების არასამედიცინო პერსონალს მისცეს მკაცრი მითითება, რომ არ დაესწრონ დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას პირველად სამედიცინო შემოწმებას და პატივი სცენ კონფიდენციალურობის პრინციპს.

რეკომენდაცია სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სასჯელალსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას სამედიცინო პერსონალმა გულმოდგინედ და სრულყოფილად მოახდინოს პატიმრის სამედიცინო შემოწმება და ამასთან, გასცეს მკაფიო მითითება, რომ ამ შემოწმებას არ ესწრებოდეს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ამას დაწესებულების ექიმი საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ითხოვს.

5.4. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო

პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.²²

დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ინტერფერონით მკურნალობის პროგრამა. სტომატოლოგიურ კაბინეტი ვერ უზრუნველყოფს ორთოპედიულ მომსახურებას. პრობლემურია დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარულობა და სიხშირე. ასე მაგალითად, N3 დაწესებულებაში ექოსკოპისტის ბოლო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, 23-24 ოქტომბრის მდგომარეობით 12 პატიმარი ელოდა ექოსკოპისტის მომდევნო ვიზიტს, უროლოგი დაწესებულებას სტუმრობდა 14 აგვისტოს, მოლოდინში იყო 10 პატიმარი, რენტგენოლოგი დაწესებულებაში იმყოფებოდა 16 სექტემბერს, მომდევნო ვიზიტს ელოდა 34 პატიმარი, პროქტოლოგის ბოლო ვიზიტი დათარიღებულია 8 სექტემბერით, მომდევნო ვიზიტს ელოდა 2 პატიმარი.

მძიმეა ექიმთა და განსაკუთრებით ექთნების სამუშაო პირობები. მთელი დღის განმავლობაში მთელ დაწესებულებას ემსახურება პირველადი ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ექიმი და ექთანნი. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება ექიმის მიერ პაციენტთა სრულფასოვანი მომსახურება სამედიცინო ნაწილში, პატიმართა ძირითად საცხოვრებელ საკნებში და ამასთან, სამედიცინო დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოება.

მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა პატიმართათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის ახლად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმისათვის, რომ პატიმარმა მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება, იგი წერს განცხადებას სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ და გადასცემს დაწესებულების მორიგე კონტროლიორს. ამ უკანასკნელს დღის განმავლობაში შეგროვებული განცხადებები მიაქვს კანცელარიაში, საიდანაც განცხადებები, რეგისტრაციის შემდგომ, ეგზავნება დაწესებულების ექიმს. მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში მიაქვს მორიგე კონტროლიორს განცხადება კანცელარიაში დაუყოვნებლივ, თუმცა აქაც გაუგებარია, როგორ უნდა მოახდინოს სამედიცინო განათლების არმქონე მორიგე კონტროლიორმა შემთხვევის გადაუდებლობის განსაზღვრა. ზემოთ აღწერილი პროცედურა ქმნის დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს და დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სამედიცინო პერსონალის სათანადო დაკომპლექტება და გონივრული სამუშაო განრიგის განსაზღვრა.

²² Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

2. სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები .

3. აღმოიფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა, პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი.

5.5. ექიმების დამოუკიდებლობა და კომპეტენცია

მონიტორინგის ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების ექიმები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევებში, რაც მათ დამოუკიდებლობასა და კომპეტენციას ეჭვ ქვეშ აყენებს. ასე მაგალითად, მონიტორინგის ჯგუფი შეესწრო შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი პატიმარი აცხადებდა, რომ მას გადაყლაპული ჰქონდა 4-5 სმ სიგრძის წვეტიანი მეტალის ხრახნები. მორიგე ექიმი დამოუკიდებლად ვერ ღებულობდა რენტგენოლოგის ან ექოსკოპისტის გამოძახების გადაწყვეტილებას, რათა მომხდარიყო მეტალის საგნის მდებარეობის ნახვა ტრაქტში და განსაზღვრულიყო ჯანმრთელობის დაზიანების რისკი. მორიგე ექიმი ცდილობდა მთავარ ექიმთან დაკავშირებას, რომელიც იმ დროისათვის დაწესებულებაში არ იმყოფებოდა. ვინაიდან პატიმრის ჯანმრთელობას იმწუთიერად საფრთხე ემუქრებოდა, მონიტორინგის ჯგუფმა პატიმრის თანხმობით მოახდინა შემთხვევის შესახებ დაწესებულების დირექტორის მოადგილის ინფორმირება და მხოლოდ ამის შემდგომ მოხერხდა მთავარ ექიმთან დაკავშირება და რენტგენოლოგის გამოძახებაზე ნებართვის აღება.

5.6. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და მომსახურების უწყვეტობა

პაციენტთა კონსულტირების აღრიცხვიანობის/დოკუმენტირების ფორმები არასტანდარტიზირებულია. სპეციალისტის კონსულტაციის შემდგომი ჩანაწერები ჟურნალში არ ფიქსირდება, ამგვარი ჩანაწერები ხშირად არც სამედიცინო ბარათებში იძებნება. ამდენად, გაუგებარი ხდება, ჩაუტარდა თუ არა საერთოდ სპეციალისტის კონსულტაცია პაციენტს. ასე მაგალითად:

1. პატიმარი ჩაწერილი იყო ფსიქიატრთან კონსულტაციაზე 2014 წლის 14 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიატრის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 17 და 20 ოქტომბერს, კონსულტანტის ჩანაწერი არ იძებნება არც კონსულტაციების ჟურნალში და არც მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში;
2. პატიმარი ჩაწერილია ნევროლოგთან კონსულტაციაზე 2014 წლის 18 აგვისტოს, მაგრამ სპეციალისტის ჩანაწერი არ ფიქსირდება არც კონსულტაციების ჟურნალში და არც სამედიცინო ბარათში;

3. პატიმარი ჩაწერილია პირველადი ჯანდაცვის ექიმის მიერ ექოსკოპიურ გამოკვლევაზე შემდეგი აღნიშვნით - „!!!“, მაგრამ არც გამოკვლევის ჩატარების ფაქტი და არც სპეციალისტის რაიმე ჩანაწერი არ იძებნება;
4. პატიმარი ჩაწერილია ქირურგთან 2014 წლის 22 სექტემბერს, მაგრამ ქირურგის ჩანაწერი დოკუმენტაციაში არ იძებნება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

5.7. მედიკამენტები

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში არსებობს წამლების სამარაგოსთან დაკავშირებული პრობლემები. სამარაგო განთავსებულია მცირე ფართში (3 კვ.მ.), თაროები არასაკმარისია და მედიკამენტების ყუთებით აწყვია იატაკზე. მართალია, ოთახს აქვს მცირე ზომის სარკმელი, მაგრამ იგი მიუდგომელია და ოთახის განიავება ვერ ხერხდება. წამლების სათანადო აღრიცხვიანობისათვის ფარმაცევტს ესაჭიროება კომპიუტერი და სათანადო სამუშაო გარემო.

მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ არსებობს გარკვეული შეფერხებები დაწესებულების მედიკამენტებით მომარაგების თვალსაზრისით. ასე მაგალითად, 2014 წლის სექტემბერში დაწესებულებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან გამოწერილი ჰქონდა „დიაზეპამი“, რომელიც მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიიღეს.

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. გამოყოფილ იქნას სათანადო ფართი წამლების სამარაგოს განსათავსებლად, ასევე დაწესებულების ფარმაცევტს შეექმნას სათანადო სამუშაო გარემო.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მომავალში უზრუნველყოფილი იყოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების მოთხოვნილი მედიკამენტებით დროული მომარაგება.

5.8. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სუიციდის პრევენცია

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დაწესებულებებში, პრობლემურია ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდების საკითხი. ასე მაგალითად, ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც გამოხატული ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რაც ვლინდებოდა თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილებაში, არამოტივირებულ აგრესიულ ქცევაში, მასთან კონტაქტში შესვლის სირთულეში და სხვა, მოთავსებული იყო სამართაო საკანში და ამასთან მისი სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ ფსიქიატრის ბოლო კონსულტაცია მას ჩაუტარდა 2014 წლის ივნისში. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სადაც იგი იმყოფება 2014 წლის 16 სექტემბრიდან, სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, მას ფსიქიატრის კონსულტაცია არ ჩატარებია. მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებაში მუშაობს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც მონაწილეობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი და ამჟამად ჩართულია 6 პატიმარი.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოფილ იქნას სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება.
2. სუიციდის გახშირებული შემთხვევებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალდამოკიდებულების და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემის გათვალისწინებით გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევა;

5.9. დაზიანების დოკუმენტირება და შეტყობინება

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებაში არ იმყოფებოდა დაწესებულების მთავარი ექიმი. დაწესებულების მორიგე ექიმა დროულად ვერ წარმოადგინა დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი. როგორც მორიგე ექიმმა მონიტორინგის ჯგუფს განუმარტა, დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი ინახებოდა დაწესებულების მთავარი ექიმის კაბინეტში, რომელიც დაკეტილი იყო. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი სპეციალური აღრიცხვის განყოფილებაში იყო.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი სრულყოფილად არ იყო შევსებული. გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. ერთ შემთხვევაში ერთ-ერთი პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანება საერთოდ არ იყო დოკუმენტირებული დაზიანების აღრიცხვის ჟურნალში;
2. ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანება სრულყოფილად არ არის აღწერილი;
3. რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი;
4. უმეტესად არ არის პატიმრის ხელმოწერა;
5. რიგ შემთხვევებში დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია არ შეესაბამება დაზიანების წარმოშობის მიზეზის შესახებ არსებულ მითითებას.

მონიტორინგის ჯგუფმა ასევე შეამოწმა დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულისა და შემთხვევების შესახებ შეტყობინების აღრიცხვის ჟურნალი და გაგზავნილი ტელეფონოგრამები, რომელიც ინახება დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილებაში. აღმოჩნდა, რომ ორ შემთხვევაში სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ შეტყობინება არ გაგზავნილა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. შეისწავლოს სხეულის დაზიანების შესახებ შეტყობინების არგაგზავნის ზემოხსენებული ორი შემთხვევა და გაატაროს შესაბამისი ზომები პასუხისმგებელი პირების მიმართ. ამასთან, მკაფიოდ განსაზღვროს დაზიანების შემთხვევათა შეტყობინების პროცედურა.

2. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირება. ამასთან, უზრუნველყოს, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი ინახებოდეს მხოლოდ სამედიცინო პერსონალთან და ნებისმიერ მორიგე ექიმს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეს მასზე ხელი.

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.²³ ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.²⁴ ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული.²⁵ აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სახდელები.²⁶ ამასთან, დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.²⁷

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში (70 %), დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებული იყო სამართლო საკანში მოთავსება, რომელიც პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

²³ ევროპული ციხის წესები, წესი 56.1

²⁴ იქვე წესი 56.2

²⁵ იქვე წესი 60.2

²⁶ იქვე წესი 60.3

²⁷ იქვე წესი 60.4

უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. სახდელის გამოყენების შესახებ მონაცემები თვეების მიხედვით იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	სამართლო საკანი	სხვა სახდელი
1.	მაისი	1	4
2.	ივნისი	6	4
3.	ივლისი	2	0
4.	აგვისტო	3	0
5.	სექტემბერი	12	3
6.	ოქტომბერი	11	4
		სულ: 35 (70 %)	სულ: 15 ²⁸ (30 %)

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსება მაქსიმალური, 20 დღიანი ვადით გამოყენებულ იქნა 7 შემთხვევაში, ამათგან 5 შემთხვევაში პატიმარი ვადაზე ადრე გათავისუფლდა სამართლო საკნიდან. ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სამართლო საკანში პატიმართა მოთავსების შემთხვევათა რაოდენობა სექტემბერ-ოქტომბერში მკვეთრად არის გაზრდილი. გარდა ამისა, სექტემბერ-ოქტომბერში წინა პერიოდთან შედარებით საჩივრების/მოთხოვნების რაოდენობაც მკვეთრად არის გაზრდილი. თუ აგვისტოში დარეგისტრირებული იყო სულ ორი საჩივარი/მოთხოვნა, სექტემბერში და ოქტომბერში საჩივართა/მოთხოვნათა რაოდენობამ შესაბამისად შეადგინა 128 და 108. ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს სექტემბერ-ოქტომბერში სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის გაუარესებაზე.

მონიტორინგის ჯგუფი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე ესაუბრა დაწესებულების დირექტორის მოადგილეს (დირექტორი დაწესებულებაში არ იყო), რომელმაც დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მზარდი პრაქტიკა სხვა დისციპლინური სახდელების არაეფექტიანობით ახსნა. დირექტორის მოადგილის ამგვარი მსჯელობა და სახდელების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში არსებობს დისციპლინური სახდელების პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა.

მონიტორინგის ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ სამართლო საკანში მოთავსებულ პატიმრები არ გაჰყავთ სუფთა ჰაერზე, აქვთ ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო სამართლო საკანში კი ცუდი პირობებია. სამართლო საკანში (ფართობი: 7 მ², 6.3 მ², 5.8 მ² და 6 მ²) ბეტონის იატაკზე დამონტაჟებულია პატარა მაგიდა და სკამი, კედელზეა დამაგრებული საწოლი; იქვეა ღია ტუალეტი; საკნებში არის ერთი 0.2 მ² ზომის სარკმელი, რომლებიც არ იღება;

²⁸ 13 შემთხვევაში დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებული იყო საყვედური, ხოლო 2 შემთხვევაში - მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

საკნებში არ ხდება ჰაერის ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, შემოწმების დროს საკანში არ მოდიოდა წყალი, იდგა გაუსაძლისი სუნი. სამარტოო საკნების კარები აღჭურვილია სიგნალიზაციის სისტემით, რომლის საშუალებითაც პატიმარს შეუძლია, დაუკავშირდეს მორიგე-კონტროლიორს. პატიმრებს არ აძლევენ ლეიბსა და საბანს და უწევთ საწოლის მყარ ზედაპირზე წოლა.²⁹

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ექიმის რეკომენდაციით ხდება გამოყენებული დისციპლინური სახდელის (სამარტოო საკანში მოთავსება) გაუქმება, რაც, ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩენს, თუ რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ სახდელის გამოყენება პატიმრის ჯანმრთელობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებს პატიმართა მიმართ ზემოაღნიშნული დისციპლინური სახდელის აღსრულების პროცესში ექიმის მონაწილეობაზე, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს სამედიცინო პერსონალის რეპუტაციაზე და წინააღმდეგობაში მოვიდეს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ეთიკასთან.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N3 დაწესებულების დირექტორს:

1. უზრუნველყოს სამარტოო საკანში ადამიანის ღირსებასთან შესაბამისი პირობები და სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმართა მიერ კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობა.
2. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამარტოო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად.
2. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში, სამარტოო საკნებში ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო პირობებში პატიმართა მოთავსების შემთხვევები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები.
3. მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრის ექიმის მიერ მონახულება ხდებოდეს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

²⁹ სამარტოო საკნებში არსებული პირობების შესახებ მონიტორინგის ჯგუფმა ინფორმაცია მიაწოდა დაწესებულებაში მყოფ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლებს და სთხოვა შესაბამისი ზომების დაუყოვნებლივ მიღება.

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.³⁰

სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა. პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს პრობლემები აქვთ ასევე ადვოკატთან შეხვედრის კუთხით.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა გამოითხოვა მოთხოვნა/საჩივრების მოძრაობის სტატისტიკა, რომელიც თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში. აშკარაა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში მოთხოვნათა/საჩივართა რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი.

N	თვე	მოთხოვნა/საჩივარი
1.	მაისი	6
2.	ივნისი	7
3.	ივლისი	5
4.	აგვისტო	2
5.	სექტემბერი	128
6.	ოქტომბერი	108

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

³⁰ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პატიმრის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა.

8. პატიმართა ტრანსპორტირება

მონიტორინგის ჯგუფმა გამოარკვია, რომ სასჯელადსრულების N3 დაწესებულებაში აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილი რამდენიმე ბრალდებული სასამართლომდე შორი მანძილის გამო უარს აცხადებდა სასამართლო სხდომაზე დასწრებაზე. შესაბამისად, მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა პატიმართა ბადრაგირებისათვის განკუთვნილი ავტომანქანების შემოწმება. პატიმართა ბადრაგირებისათვის გამოიყენება „გაზ“-ის, „მერსედესის“, „ფორდისა“ და „სუზუკის“ მარკის ავტომანქანები. „გაზ“-ის, „მერსედესისა“ და „ფორდის“ მარკის ავტომანქანებში არსებული პირობები არადამაკმაყოფილებელია და ამ ავტომანქანებით მგზავრობა დიდ დისკომფორტს უქმნის პატიმრებს. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ავტომანქანებში არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ვენტილაცია, კაბინაში არის სივიწროვე, სკამებს აქვს მყარი ზედაპირი, რომელიც ხანგრძლივი მგზავრობის დროს იწვევს ფიზიკურ ტკივილს.

აღსანიშნავია, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში ცალკე არის გამოყოფილი მცირე ზომის მეტალის კაბინა (დაახლოებით 0,4 კვ.მ. ფართის). კაბინაში არის სივიწროვე, უჰაერობა და სრული სიბნელე. ამ კაბინას უმეტესად ქალი პატიმრების გადასაყვანად იყენებენ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ კაბინაში პატიმრის მოთავსება წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას და აუცილებელია მოხდეს ამ კაბინის დემონტაჟი.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. ექსპლუატაციიდან იქნას ამოღებული პატიმრების ბადრაგირებისათვის განკუთვნილი „გაზ“-ის მარკის ავტომანქანა.
2. გაუქმდეს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში ქალებისა და სექსუალური უმცირესობის მოსათავსებლად გამოყოფილი მცირე ზომის მეტალის კაბინა.
3. „მერსედესისა“ და „ფორდის“ მარკის ავტომანქანებში შეიქმნას ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პირობები. პატიმართა ბადრაგირება განხორციელდეს ისეთ პირობებში, რომელიც პატიმარს შეუქმნის ნაკლებ დისკომფორტს და არ დააზიანებს მის ჯანმრთელობას.
4. მიიღოს საჭირო ზომები, რათა არ მოხდეს იმ ბრალდებულთა მოთავსება სასჯელადსრულების

N3 დაწესებულებაში, რომელთა სასამართლო სხდომებიც აღმოსავლეთ საქართველოში ტარდება.